<u>**პროექტი**</u>

საქართველოს კანონი

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №5, 18.01.2005, მუხ. 19) 76-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 34^1 პუნქტი:

,,34^1. იმ ლიცენზიის მოქმედება, რომელსაც ამ კანონის 39-ე მუხლის ან/და ამ მუხლის 34-ე პუნქტის შესაბამისად გაგრძელებული მოქმედების ვადა 2026 წლის 31 დეკემბერს ეწურება, გაგრძელდეს 2031 წლის 31 დეკემბრამდე, კომისიის მიერ მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით მიღებული გადაწყვეტილებით. ამ შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელმა ლიცენზიის მოქმედების გაგრძელების შესახებ განცხადებით უნდა მიმართოს კომისიას ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვამდე 1 თვით ადრე. ვადის გაგრძელებისას ლიცენზიის მფლობელი იხდის სალიცენზიო გადასახდელს, რომელიც გამოიანგარიშება „რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვისა და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის დებულების” შესაბამისად. ლიცენზიის მფლობელი, ასევე იხდის სალიცენზიო მოსაკრებელს.”

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**